ხელშეკრულება № 10

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჭიათურა **2021 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ სსიპ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი, მუნიციპალიტეტის მერის გივი მოდებაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „სერვის ტრანსი“, მისი დირექტორის ნანული ეჯიბაძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი”, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში — ხელშეკრულება) შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე (შემდგომში ასს) გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების მომსახურების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა. კლასიფიკატორის კოდი –71600000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების საგნად მიჩნეული მომსახურების გაწევა „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად.

4.1.2. მომსახურება გაწიოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით, დროულად და ხარისხიანად.

4.1.3. საკუთარი ხარჯებით აანაზღაუროს გამოვლენილი უხარისხო მომსახურების ღირებულება.

4.1.4. „შემსყიდველის” მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარუდგინოს მას ინფორმაცია.

4.1.5. მომსახურება გაწიოს 2021 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით - საჭიროების შესაბამისად.

4.2.შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. მხარეთა უფლებები

5.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

5.1.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი მომსახურების ნებისმიერ ეტაპზე.

5.1.2. არ აითვისოს ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მთლიანი თანხა.

5.2. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

5.2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

6. ანგარიშსწორება

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

6.2. ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) მიღება-ჩაბარების აქტი;

6.3. ანგარიშსწორების ვადაა მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არა უმეტეს 10 სამუშაო დღე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტის მიღებას აწარმოებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

7.2. გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

8. დაუძლეველი პირობები

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველი პირობების გარემოების შედეგი.

8.2. „დაუძლეველი პირობები“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. დაუძლეველი პირობების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი პირობების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. დაუძლეველი პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ დადგენილ ვადაში მომსახურების გაუწევლობის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება და ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის იხდის ხელშეკრულების ჯამური ღირებულების

0,1%-ს, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ს.

9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ მათ შორის წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. შემსყიდველს უფლება აქვს, განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა. ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის წესი"-ს შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელი თავისუფლდება ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან და იხდის ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულის 0,01%-ს.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. დამატებითი პირობა

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონული ფორმით.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი	**შპს „სერვის ტრანსი"**
მისამართი: ჭიათურა, ნინოშვილის ქ.№7	მისამართი: ზესტაფონი, შოთა რუსთაველის ქ.№38
საიდენტიფიკაციო კოდი 215609544	საიდენტიფიკაციო კოდი 430036418
სს „საქართველოს ბანკი"	სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE	ბანკის კოდი TBCBGE22
ანგარიშის № GE89BG0000000951640600	ანგარიშის №GE17TB7379236020100005
ტელ.: 0 479 251554; 0 479 251081;	ტელ.: 599 56 76 33
მუნიციპალიტეტის მერი	**დირექტორი**
გივი მოდებაძე	**ნანული ეჯიბაძე**

Self Governing Unit of Tchiatura Municipality
Digitally signed by Self Governing Unit of Tchiatura Municipality
Date: 2021.01.28 10:40:21 +04'00'

Nanuli Ejibadze
Digitally signed by Nanuli Ejibadze
Date: 2021.01.28 14:45:45 +04'00'

ავტოსატრანსპორტო საშუალებების კატეგორიები	ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულება და მახასიათებლები	საფასური (ლარი)	რაოდენობა	სულ ფასი
M1	არაუმეტეს 8 დასაჯდომი ადგილის (მძღოლის ადგილის გარდა) და არანაკლებ ოთხი თვლის მქონე, მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები	60	5	300
ჯამი				300

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჭიათურა 2021 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბიმისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ავტომანქანების გზებზე ვარგისობაზე ტესტირების მომსახურების (ხელშეკრულება № -10 შპს „სერვის ტრანსი“) შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუნიციპალიტეტის მერი გივი მოდებაძე

მე-4 რანგის, პირველი კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი ტრანსპორტის საკითხებში ხვიჩა მაჭავარიანი